№ 262
შაბათი, 2 დეკემბერი, 1900 წ.

ფასი გაზეთისა:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 262
შაბათი, 2 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

**სოფიო გიორგის ასული ხევცურიანისა და აბესალომ ივანეს ძე ხევცურიანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

## ოქროპირ ელიზბარის ძის ხევცურიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე იქმნება გარდახდილი ნაშუადღევის ორ საათსა და საღამოს შვიდზედ. მიცვალებულს კვირას, 3 დეკემბერს, დილის $9^1/_2$ საათზედ გამოასვენებენ ბინიდგან (მამა-დავითის მოედანი, ხოტ-ევის სახლ.). წირვასა და პანაშვიდს 1-ლ კლასიკურ გიმნაზიის ეკკლესიაში მოასმენინებენ, ხოლო დასაფლავებით მამა-დავითის ეკკლესიის გალავანში დაასაფლავებენ.

(1—245—1)

კვირას, 3 დეკემბერს,

## ალექსანდრე ივანეს ძის ბაქრაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც იუწყებიან ნათესავნი გარდაცვალებულისა. წირვა დაიწყობა დილის $9^1/_2$ საათზედ.

(1—249—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის"

## კრება

დანიშნულია კვირას, 3 დეკემბერს, 1900 წ., დილის 11 საათზედ, მადათოვისეულ კუნძულზედ, ამხანაგობის ქარხანაში.

განსახილველი საგნები იქნება:

1) 1900 წლის პირველ ნახევრის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2) სამინისტროსაგან დამტკიცებულ ახალის წესდების განხილვა და მისის წესით ამხანაგობის საქმეების წარმოების დაწყება 1 იანვრიდგან 1901 წ.

3) ახალ-წევრების ამორჩევა.

4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და მისი დამტკიცება.

5) ამორჩევა გამგეობის ახალის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

6) ამორჩევა რევიზიის წევრებისა და მათის კანდიდატებისა.

(3—6.—2)

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

## წინარეხის

სკოლის მასწავლებლის ადგილი. მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 350 მანეთი.

(4—უ.—2)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ჭ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ვ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არზანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**პ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეზთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელობოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

# ახალი ამბავი

*** ფოსტა-ტელეგრაფთა უწყებას განუზრახავს, რომ კავკასიის ზოგიერთ ვაჟთა და ქალთა სასწავლებლებში ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შვილებისათვის სტიპენდიები დააარსოს.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, სასულიერო უწყებამ შუამდგომლობა აღძრა, რომ სიონის საკრებულო ტაძარს ამ ტაძრის მახლობლად მდებარე სახაზინო მიწა დაეთმოს. ეს შუამდგომლობა იმი-

# ფელეტონი

**წერილები ინგლისიდგან**

(საკუთარის თანამშრომლისაგან)

წერილი მე-XVII

კრიუგერი საფრანგეთში.—ოვაციები და თანაგრძნობა ბურების მიმართ.—ჰარიბალდისა და კოშუტის აჩრდილნი ლონდონის პრესსაში. კიჩინერის ბარბაროსობა. ომი დედაკაცებთანა და ბავშვებთან; სახლებისა და ფერმების გადაწვა. საზოგადოების გამოფხიზლება. წერილები მორლეისა, ტრეველიანისა და სხვათა.

დიდის აღტაცებით მიეგებნენ ტრანსვაალის პრეზიდენტს მარსელსა, ლიონსა, დიჟონსა, განსაკუთრებით პარიჟში, და ამ აღტაცებით, როგორც იქმნა, ფრანგებთან ერთად მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ საჯაროდ, ხმა მაღლა თვისი უკმაყოფილება განაცხადა იმ ბარბაროსობისა და ძალ-მომრეობის გამო, რომლის მეოხედნადაც ეს ორი წელიწადია ტრანსვაალი გადაიქცა. დიდი ხანია საჭირო იყო საჯაროდ დაეგმოთ კაპიტალიზმის საერთა-შორისო ბრბო, ბეიტისა, ეკშტეინისა, როდსისა და სხვა ამგვართაგან შემდგარი, გაეკიცხათ მათი „სახელმწიფო მოღვაწე" ჩემბერლენი, რომელმაც ომი საკუთარ ოჯახის გასამდიდრებელ საქმედ გადააქცია*), და დაეგმოთ მათივე სარდალი კიჩინერი, რომლის ჯარიც, როგორც თითონვე განაცხადა, სამის დღის განმავლობაში უწყალოდ ხოცდა და ელეტდა ომდურმანთან მახლობლად დაჭრილ არაბებს. დიაღ, საჭირო იყო ყველა ამის გამო განათლებულთა საერთო, საჯარო პროტესტი, უფრო ძლიერი პროტესტი, ვიდრე თითო-ოროლა პატიოსან კაცთა და ინგლისურ ჟურნალ-გაზეთთა ხმა-მაღალი ჩივილი იყო. და, აი, ის ოვაციები, რომლითაც ფრანგები მიეგებნენ კრიუგერს, სწორედ სასურველი საერთაშორისო პროტესტია.

კარგა ხანია ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა და საზოგადოება ჰგრძნობს, რომ ტრანსვაალთან ომმა დიდის ბრიტანიის სახელი დასცა და დაამდაბლა ხალხთა თვალში; მაგრამ დღემდე საზოგადოებამ და ჟურნალ-გაზეთობამ არ უწყოდა, ამ ხალხთა გულში რა თანაგრძნობას დაუბუდნია ბურების მიმართ და რა ზიზღს, სიძულილს—ოფიციალურ ინგლისის მიმართ... მთელის საფრანგეთის ხმამაღალმა ყვირილმა „Vive l'independence!" "Vive Transvaal!" დააფიქრა თვით უკიდურესი მომხრენიც-კი ძალ-ძომრეობის ომისა.

პირველსავე ამბის მიღებისათანავე იმის შესახებ, თუ რა აღტაცებით მიეგება კრიუგერს არა მარტო ხალხი, არამედ თვით ოფიციალური საფრანგეთიც-კი, მოსყიდულმა ჟურნალ-გაზეთობამ (იხილე „ივერია" №№ 68, 99 და სხვანი) ყვირილი შეჰქმნა საფრანგეთის წინააღმდეგ. პატრიოტნი ძალზედ სცდილობდნენ ჩაეკონებინათ ჯონ ბულისათვის, რომ ფრანგებს აღელვებს, ალაპარაკებს შური ინგლისის გამარჯვების გამო და არა ზიზღი ომის და ელეტა-ხოცვის გამო. მაგრამ აღმოჩნდნენ პატიოსანი, დამოუკიდებელი გაზეთნიც, რომელთაც სიმართლე პირში მიახალეს მთავრობას, საზოგადოებას და პრესსას. ასე მოიქცა, მაგალითად, რადიკალთა გაზეთი „Star"-ი, რომლის შესახებაც წინადაც არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი.

„შურისა და პოლიტიკანობისათვის არ ეგებებიან აღტაცებით ფრანგები ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტს,—სწერს ეს გაზეთი: ფრანგებს აღტაცებაში მოჰყავს იმავე გაკვირვების გრძნობას პატარა და მამაც ხალხის მიმართ, რა გრძნობითაც 1864 წელს მთელი ინგლისი ეგებებოდა დიდებულ სახალხო გმირს ჰარიბალდს. დრონი იცვალნენ და როლებიც შეიცვალა. როდესაც ლონდონში ჰარიბალდი ხალხს ხელით დაჰყავნდა, როდესაც თავისუფლებისათვის მებრძოლის სანახავად მინისტრები, პრინცები და დიდებულნი მიდიოდნენ... მაშინ ინგლისი გულ-კეთილობას იჩენდა, იგი ჩაგრულთა მხარეს იყო, გულით სცდილობდა ამ ჩაგრულთა ფეხზედ წამოყენებას, სიმართლისა და ჭეშმარიტების გამარჯვებას. მაშინ ავსტრიის წინააღმდეგ დემონსტრაციას ჩვენა ვმართავდით. ხოლო ეხლა დემონსტრაციებს ჩვენ წინააღმდეგ მართავენ; კანონიერ უკმაყოფილებასა და ზიზღს სხვანი, განათლებულნი ერნი ეხლა ჩვენ გვიცხადებენ. ჰარიბალდიზედ ადრე აღტაცებით ვეგებებოდით უნგრელთა დიდებულ მამულიშვილს—რევოლიუციონერს კოშუტს... მაგრამ განა ჩვენ ეხლა სამხრეთ-აფრიკაში უფრო ბარბაროსულ საქმეს არ ჩავდივართ, ვიდრე უნგრეთის მტარვალნი 1848—49 წლებში სჩადიოდნენ?"

აი, ასეთის სიტყვებით უსაყვედურებდა გაზეთი თანამედროვე ინგლისს. კარგადაც მოიქცა, რომ მოაგონა ხალხს წარსულ დროთა დიდებულნი მებრძოლნი თავისუფლებისათვის და მაშინდელ ინგლისის გაკვირვება ამ მებრძოლთა წინაშე. სხვაც ბევრი რამ შეეძლო მოეგონებინა გაზეთს. შეეძლო, მაგალითად, გაეხსენებინა, რა გულცივად მიიღო და თითქმის შეურაცხყოფაც მიაყენა ინგლისის უმაღლესმა საზოგადოებამ ფელდმარშალს გაინოუს იმ სისასტიკისათვის, რომელიც ამ გაინოუმ უნგრეთის რევოლიუციის დამშვიდების დროს გამოიჩინა... მაგრამ განა შედარება-კი შეიძლება გაინოუს ჯარის სისასტიკისა კიჩინერის ბარბაროსობასთან, იმ კიჩინერისა, რომელიც არ ინდობს არც ქალებს, არც ბავშვებს და არც დაჭრილ-დაკოდილთ? გაინოუ, თვით სისხლის მსმელი ომარ-ფაშა, და ასე გასინჯეთ, კუბის მტარვალი ვეილერიც-კი უმანკო კრავნი და პატიოსანნი რაინდნი არიან გულ-ცივ, დაუნდობელ და შეუწყალებელ კიჩინერთან

*) ამ დღეებში გამოაქვეყნეს ახალი საბუთის ქაღალდები, საიდგანაცა სჩანს, რომ თვით იოსებ ჩემბერლენი და არა სხვა ვინმე ამზადებს კარვებსა და თავ-შესაფარებს იმ ტყვეებისათვის, რომელთაც კუნძულ ცეილონზედ ჰგზავნიან. ამ რიგად ყველაფერს, რაც-კი ომისათვის საჭიროა: საომარ იარაღს, ტყვია-წამალს, კარვებს მთავრობას ჩემბერლენი უმზადებს. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ასეთ პირობებში ომი სასარგებლო იქმნება ჩემბერლენისა და იმის ნათესავებისათვის.

ტომ აღძრეს, რომ სიონის ტაძრის გვერდით მოთავსებულია სანთლისა და სხვა დუქნები, რომელნიც ამავე ტაძარს ეკუთვნიან და 1,500 მან. წლიურ შემოსავალს იძლევიან, ხოლო ეს დუქნები ტაძარსა ჰფარავენ და ამას გარდა დუქნების წყალობით დიდი სივიწროვეა ტაძრის გარეშემო. ამისათვის განზრახვა აქვთ ეს დუქნები მახლობელ სახაზინო მიწაზედ გადაიტანონ. ქალაქის თვითმმართველობამაც სთხოვა მთავრობას, რომ ეს სახაზინო მიწა ქალაქს დაეთმოს სიონის ქუჩის გასაფართოებლად. ეხლა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უთხოვნია კავკასიის მთავარ მართებლისათვის გადასწვიტოს, რომელს დაეთმოს ეს მიწა, სიონის ტაძარსა თუ ქალაქ ტფილისს. ამას გარდა რადგანაც ტფილისის გუბერნიის უფროსს ლაპარაკი აღუძრავს, რომ სიონის გარეშემო მოთავსებული შენობები სიძველისა გამო გადატანილ იქმნას სხვა ადგილზედ, ამისათვის სინოდის ობერ-პროკურორს უთხოვნია მთავარ-მართებლისათვის, შეგვატყობინეთ, კერძო შენობები სხვა ადგილზედ ნამდვილად გადატანილ იქმნება თუ არაო.

*** 29 დეკემბერს, იმ კომიტეტს, რომელსაც ტფილისში სახალხო სახლის აშენება აქვს დავალებული, სხდომა ჰქონდა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ი. ნ. სვეჩინის თავმჯდომარეობით და ადგილობრივ ვაჭარმრეწველთა წარმომადგენლების თანადასწრებით. სხდომას გარდაუწყვეტია, ახლავე შეუდგეს ამ სახლის ასაშენებლად კერძო შემოწირულებათა მოკრეფას და გაზაფხულზედ სახლის შენებაც დაიწყოს. გარდა ამისა, „ტფილისის საარტისტო საზოგადოების“ზოგიერთ წევრებს ლაპარაკი აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოების მომავალ წარმოდგენებზედ თითო ბილეთს 5 კ. მოუმატონ სახალხო სახლის სასარგებლოდ. („ახ. მიმ.“).

*** ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორს ფიშერს შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ამ სასწავლებელთან ბუჰგალტერიის, საკომერციო არითმეტიკის და გერმანულ ენის კურსები დააარსონ.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობას კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს საგუბერნიო საერობო გადასახადიდგან 2,783 მ. 49 კ. ცხინვალის ხიდის შესაკეთებლად გადასდოს.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებულის მინდობილობით უფროს ტოპოგრაფს ჩერსკის უკვე დაუმთავრებია სოლოლაკის კლდის გამიჯვნა განზრახვა აქვთ ამ კლდეში გვირაბი გაიყვანონ და საბოტანიკო ბაღი ერევნის მოედანს ამ გვირაბით შეუერთონ.

*** ბათუმის ქალაქის გამგეობას უკვე შეუდგენია და დაურიგებია ხმოსანთათვის მომავალის 1901 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც ამ ხარჯთ-აღრიცხვიდგანა სჩანს, ქალაქს შემოსავალი ექმნება სულ 501,138 მანეთი, ხარჯი კი—490,485 მანეთი.

*** როგორც შევიტყეთ, ბ-ნ ივ. როსტომაშვილის ჟურნალ „მოგზაური“-ს პირველი ნომერი ამ დეკემბერში გამოვა.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს შეაკეთოს გორში მტკვარზედ გამართული რკინის ხიდი, რასაც, როგორც გაანგარიშებულია, 3,156 მ. 62 კ. მოუნდება.

*** ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობით, ფინანსთა სამინისტროს ნება დაურთავს ბათუმის ქალაქის ლომბარდის ძირი თანხა გაადიდოს 15 ათასი მანეთით.

*** რაც ტფილისის მესამე ნაწილის მომრიგებელ სასამართლოს მოსამართლედ ბ-ნი სტრელკოვი დაინიშნა, მან ცრუ ვექილების ასალაგმავად, რომელთა რიცხვი ამ მესამე ნაწილში გადაჭარბებით ბევრი იყო, აღუკრძალა მათ კანცელარიაში სიარული და სასამართლოს დერეფნებში არზების წერა. ამ „აბლაკატებს“ ეხლა სხვა ხერხისათვის მიუმართავთ. იქვე სასამართლოს გვერდზედ სასმელების ორის დუქნის უკანა ოთახებში მთელი კანცელარია გაუმართავთ და იქ უწერენ მთხოვნელებს არზებს თითო და ორ-ორ აბაზად. რალა თქმა უნდა, რომ ამ სასყიდელს არყისა და ღვინის ჩამოსხმაც მოსდევს, რადგან უამისოდ სასმელების დუქნების პატრონები ვერას იხეირებდნენ. ამ გვარად, ვრცელდება ლოთობა თითქოს სასამართლოს მიზეზით. იმედია, რომ როგორც მომრიგებელი მოსამართლე, აგრეთვე თვით ტფილისის პოლიცმეისტერი ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას და ამ ვაჟბატონთა სინსილას იმ დუქნებიდგანაც გააწყობენ. მეტადრე მავნებლად უნდა ჩაითვალოს ამ მხრივ ავჭალის კუთხეში, სასამართლოს ზემოდგან მოთავსებული ვილაც მეგრელის სასმელების დუქანი, რომლის დაკეტვისა და გაუქმების შესახებ არა ერთხელ აღძრა შუამდგომლობა ამ სასამართლოს უწინდელმა მოსამართლემ პატივცემულმა ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილმა, მაგრამ ამ შუამდგომლობას დღემდე შეწყნარება არ მიეცა.

*** ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ამ ჟამად მსურველთ მოწმობებს ურიგებს, რომლითაც მათ ნება ეძლევათ ჩამისა და შირაქის სახაზინო მიწებზედ ნავთიან მიწების დამუშავებას შეუდგნენ.

*** 7 დეკემბერს კავკასიის წყალთა გამგეობის დარბაზში დანიშნულია ამიერ-კავკასიის ინჟენერ-გიდრავლიკთა კრება.

*** სოფ. კუჰეჰა, (თიანეთის მაზრა). 16 ნოემბერს ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მამა ისიდორე ჰერტაიამ მღვდელთა კრებულით ადგილობრივი ეკკლესია აკურთხა. ხალხი კურთხევას ბლომად დაესწრო, რადგანაც კუჰეჰელებისათვის მაღარო კარის ეკკლესიაში სიარული, რომელიც მთელის 3 ვერსის მანძილით დაშორებულია, მეტად საძნელო იყო, განსაკუთრებით-კი ზამთრობით, როდესაც დიდის თოვლისა გამო ზოგჯერ გზებიც-კი შეიკვრის ხოლმე.

წირვის გამოსვლის შემდეგ ბლაღოჩინმა მამა ისიდორე ჰერტაიამ მიულოცა ხალხს ეკკლესიის კურთხევა და მადლობა უძღვნა, რომ სამღვდელო პირთ მეგობრულად მხარი მისცეს და ეკკლესიის კურთხევაში შესაფერი დახმარება აღმოუჩინეს.

*** როგორც გაზ. „ნორ-დარს“ ატყობინებენ, ახალციხეში ამ დღეებში ადგილობრივ სცენის მოყვარეთ კრება ჰქონიათ. კრებას გადაუწყვეტია წინა წლებივით წარმოდგენები მართოს ხოლმე. ამ საქმის მოსაწყობად კომიტეტი აურჩევიათ. წარმოდგენებში 25 კაცი მიიღებს მონაწილეობას. პირველი წარმოდგენა ამ დღეებში გაიმართება თურმე.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის საარჩევნო სიების შედგენა გამგეობას წევრის ბ-ნ შესტაკოვისთვის მიუნდვია.

*** წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი კნ. მ. ა. შერვაშიძისა თავს ანებებს ამ თანამდებობას.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ჯიმითი** (სიღნაღის მაზრა). ნოემბრის თხუთმეტში აქ სიღნაღის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღ. მ. დავით იაშვილი მობრძანდა, მოახდინა ყრილობა და გამოუცხადა ხალხს, რომ სოფელში სკოლა დაეარსებინათ. მარტივისა და გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა მ. იაშვილმა ხალხს და აუხსნა, თუ სკოლა რამდენად საჭიროა სოფლისათვის; დაჰპირდა მთავრობის ხარჯზედ მასწავლებლის დანიშვნასა და ყოველსავე საჭირო სახელმძღვანელოების გამოგზავნას, თუ რომ სოფელი შენობასა და მოსამსახურის მიცემას იკისრებდა. ადგილობრივ მღვდელი ბლაღოჩინი მ. იოსებ შიუკაშვილი თავის საკუთარს შენობაში ორს ოთახს უსასყიდლოდ დაჰპირდა კლასისა და მასწავლებლისათვის, ვიდრე სოფელი შეიძლებდა და (მაშინაც მთავრობის დახმარებით) სკოლას საკუთარს შენობას აუგებდა. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხალხი ამ წინადადებაზედ სიხარულით თანხმობას განაცხადებდა, რადგანაც მაშინ ჯიმითს, სადაც ოთხას კომლზედ მომეტებული მცხოვრები ითვლება და შუა და მოსამსახურე ჩალის ფასადაა, სულ 50—60 მან დაეხარჯებოდა მხოლოდ წელიწადში, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება, როდესაც ხალხმა ერთხმად „არ გვინდაო“, დაიძახა თურმე ნუ იტყვით, ადგილობრივი მამასახლისი ტურაშვილი, როდესაც ხალხს სასოფლოსკენ ერეკებოდა, თან თურმე ეუბნებოდა: არამც და არამც არავინ გაჰბედოთ თანხმობის გამოცხადება, თორემ ეგენი მოგვატყუებენ, სკოლას შემოგვაპარებენ და მერმე უძირო ორმოში ჩაგვყრიანო.—ხომ იცით, მე იქ (სასოფლოზედ) ვერაფერს ვიტყვი და, თქვენ რაც უნდა გითხრან, ერთხმად „არ გვინდა“ დაიძახეთო. ბევრნაირად ეცადა მ. იაშვილი ხალხი დაეჯერებინა, რომ იგი მათდა სასიკეთოდ იყო მოსული, რომ მას არავითარი მოტყუება და ზარალი არა ჰქონდა გულში, მაგრამ ემა და მონა ხალხი მამასახლისისა მისს ბრძანებას ერთგულად ასრულებდა.

ამაზედ მეტი ადამიანის დამცირება შეიძლება-და განა?.. გულმოსაკლავს სურათს წარმოადგენდა სწორედ იმ დროს ხალხის ყრილობა. საწყალი ხალხი გულმოდგინედ უსმენდა მ. იაშვილის ლაპარაკს, ბევრს სჯეროდა მისი სიტყვები, და მზად იყო თანხმობა გამოეცხადებინა, მაგრამ მამასახლისისა ეშინოდა, ეშინოდა აგრეთვე სოფლის ორიოდე ბობოლასი, იმათის სამართლისა, რადგან იცოდა, რომ მიწასთან გაასწორებდნენ, ცოლ-შვილს დაუწიოკებდნენ და სხ. ამის გამო ყველა ერთხმად „არ გვინდას“ ჰყვიროდა. ამ რი-

---

შედარებით. ორს უკანასკნელ საუკუნის ისტორიაში მე არ ვიცი გენერალი უფრო სასტიკი და სისხლის მსმელი, ვიდრე ეს კიჩინერია, შეილდისრებით შეიარაღებულ დერვიშთა დამმარცხებელი“. გარეგნობაც ასეთი აქვს გენერალს. იმისი ხშირი და ჩამოშვებული წარბები, ცივი, უმოძრაო თვალები, მთელი სახე, ხესავით უგრძნობელი, ნათლად გეუბნებათ, რომ ეს კაცი ყველას მიმართ სიძულვილით არის გამსჭვალულიო. ტყუილად-კი არა სთქვა ერთმა ლიბერალურმა გაზეთმა, როდესაც რობერტსის ადგილას კიტჩინერის დანიშვნის ამბავი გაიგო: „თუ გვინდა სახელი და პატიოსნება დავიცვათ, უნდა ყოველი საშუალება ვიხმაროთ, ამ კაცმა (კიტჩინერმა) თავისის მტარვალობით საბოლოოდ არ შეარცხვინოს ინგლისიო“.

მაგრამ კიჩინერმა უკვე საკმაოდ შეარცხვინა ინგლისი და დასცა იმისი სახელი. როგორც ტილლიმ, მაგდებურგის დამქცევმა 30 წლის ომში, როგორც ჰერცოგმა ალბამ, ნიდერლანდიის მამულიშვილთა ამომჟლეტმა, კიჩინერმა საუცხოვო ნიმუშები გვიჩვენა, არ იფიქროთ, სამხედრო ნიჭისა, არა,—თავისს სისასტიკისა და ბარბაროსობისა. უკვე წელიწადია იგი რობერტსის ჯარის შტაბის უფროსად არის და ამ ხნის განმავლობაში თავი მხოლოდ უზომო სასტიკობით იჩინა, იმდენად უზომოთი, რომ მოხუცი მთავარ-სარდალი, ძველის დროის მეომარი, ე. ი. ისეთი კაცი, რომელიც კაცთ-მოყვარეობას მოკლებული არ არის, იძულებული ხდებოდა საქმეში ჩარეულიყო და კიჩინერის ბრძანებანი გაეუქმებინა. ასე მოხდა, მაგალითად, კრონიეს ჯარის დატყვევების დროს. კიჩინერი თავისის 60 ათასის კაცითა და 80 ზარბაზნით უღმერთოდ ამოსწყვეტდა ერთ მუჭა მეომართ, მდინარის პირას მომწყვდეულთ, და ისეთსავე სამარცხვინო საქმეს ჩაიდენდა, როგორიც ომდურმანთან ჩაიდინა, რობერტს რომ დროზედ არ მიესწრო და კიჩინერის ბრძანებანი არ გაეუქმებინა.

აი ამ მტარვალს ჰნიშნავენ ჯარის უფროსად სამხრეთ აფრიკაში რობერტსის ნაცვლად, რომელსაც მთელის ინგლისის ჯარის მთავარ-სარდლობას აძლევენ. რასაკვირველია, ინგლისის მოწინავე საზოგადოება შიშით უყურებს მომავალს და გაოცებული იმეორებს ლიბერალთა გაზეთის ზემოდ მოყვანილს სიტყვებს. ბრძოლის ველიდგან მიღებული ამბებიც ამართლებენ ამ შიშს.

გაზაფხულიდგან დაწყებული კანტი-კუნტად ამბები მოდის, რომ ხან აქ, ხან იქ ინგლისის მხედართ ბურების ფერმა გადასწვესო. მაგრამ ამასთან აცხადებდნენ, რომ გადამწვარი სახლი ბურების საომარ იარაღისა და თოფ-წამლის საწყობს შეადგენდაო. შორს მხედველნი ეჭვის თვალით უყურებდნენ ყველა ამას და ამბობდნენ, დამარცხებულთა სახლებისა და სოფლების გადაწვაგანადგურება შეჰფერის მხოლოდ ბარბაროსთ და ატილლასაო, რომლის სახელსაც გერმანიაში შურის თვალით შეჰხედეს. კიჩინერის მომხრენი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი ამბები მეტად იშვიათიაო, ამასთან საჭიროება მოითხოვს ფერმების გადაწვასა და განადგურებას და უსახლ-კაროდ, ულუკმა-პუროდ დარჩენილ დედაკაცთა და ბავშვთა განდევნასაო. ასე გვარწმუნებდნენ ეს ვაჟბატონნი. მაგრამ ნამდვილად სულ სხვა ხდება სამხრეთ-აფრიკაში.

სახელდობრ ისა, რომ ბურების ფერმებს ყველგან სისტემატიურად სწვავენ და მიწასთან ასწორებენ. სულ ერთიან გადასწვეს, მაგალითად, რკინისა და უბრალო სამხედრო გზების ორსავე მხარეს 15 ვერსის მანძილზედ მდებარე ფერმები და სახლები. ამას გარდა, თვით რობერტსის სასტიკ ბრძანების წინააღმდეგ, ამ ადგილებში მცხოვრებ მშვიდობიან ბურებს წაართვეს საქონელი, სურსათი, ერთის სიტყვით ყველაფერი, რაც-კი გააჩნდათ; ბოლოს უშემწეოდ, უსახლ-კაროდ დარჩენილი ტიტველ მიშველი და მშიერ-მწყურვალი ქალები და ბავშვები ქალაქებში ჩარეკეს, სადაც ეს კიჩინერის ბარბაროსობის მსხვერპლნი მათხოვრობენ, ავადმყოფობენ, ცის ქვეშ იყინებიან უშემწეოდ, უთანაგრძნობოდ.

მაგრამ უკაცრავად: თანაგრძნობასა და შემწეობას ამ საწყლებს უბრალო ჯარის-კაცნი უწევენ, კიჩინერისა, მაკდონალდისა და სხვათა გენერალთა მტარვალობითა და სისასტიკით აღელვებულნი. სწორედ ამავე ჯარის-კაცებმა ნათესავებსა და მეგობრებთან გაგზავნილ წერილებში გამოაქვეყნეს ის საზიზღრობა, რაც ამ ჟამად სამხრეთ-აფრიკაში ხდება. ამ წერილებიდგანა სჩანს (ზოგი წერილი გაზეთშიაც დაიბეჭდა), რომ სწვავენ და ანადგურებენ ინგლისელნი განურჩევლად ყველა ფერმას; ყურადღებას არ აქცევენ, ფერმა მეომარ თუ მშვიდობიან ბურისაა, შიგ მამაკაცნი, დედაკაცნი, თუ ბავშვები სცხოვრობენ. ამ შემთხვევაში მამაცი მეომარნი ასე იქცევიან.

შეიარაღებულ ჯარით გარს-შემორტყმულ ფერმიდგან სათითაოდ გამოჰყავთ ეზოში იქ მცხოვრებნი, მოხუცნი, დედაკაცები და ბავშვები, და უცხადებენ, ვინც განძრევასა და გაქცევას ან სხვა რამეს დააპირებს, თოფებს ვესვრითო; შემდეგ ამ უშემწეო ხალხის ჩხრეკას იწყობენ. უჩხრეკავენ ჯიბეებს, უბეებს, ზოგს ტანისამოსსაც კი ჰხდიან. ამავე დროს სახლში ავეჯეულობას, ნივთებს, წიგნებს, ფორტეპიანოს, ერთის სიტყვით, ყველაფერს, რასაც-კი მოაპელებენ, ერთს ოთახში უყრიან თავს, ზევიდგან შეშასა და თივას აწყობენ და ცეცხლს უკიდებენ. არავითარ ყურადღებას არ აქცევენ შეუბრალებელი მტარვალნი არც მოხუცებულთა ხვეწნა მუდარას, არც დედაკაცთა ცრემლებს, არც ბავშვების ტირილ-ღრიალს. ამ რიგად უსპობენ საცოდავებს სარჩო-საბადებელს, ქონებას და შემდეგ საკუთარ მიწა-ადგილიდგან, მამა-პაპათა ოფლითა და სისხლით მორწყულ ნიადაგიდგან, ერეკებიან ქალაქებში.

აი რას გადმოგვცემენ ბარბაროსობით აღელვებულნი ჯარის კაცნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ თავისუფლად დაჰპარპაშობენ ჩვენს სოფლებში ის ვაჟბატონები, რომლებიც ხალხის სიბრიყვითა და უვიცობით სარგებლობენ და ჯიბეს ივსებენ... ამასთანა სოფლის მავნე კაცი, არამც თუ მამასახლისად, სოფელშიაც დასაყენებელი არ არის, მაგრამ პატრონი ვინ არის...

ჯიმითელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გუშინ გამოვიდა პირველი ნომერი „ცნობის ფურცლისა" შევსებულის პროგრამით. პროგრამის შევსებას ამ ნომერში მოუთავსებია მეთაური წერილი, რომელშიაც რედაქცია სცდილობს გამოარკვიოს თავისი profession de foi, აზრი „ცნობის ფურცლის" გაზეთად გარდაქმნისა და მისი დანიშნულება. ამავე ნომერში მოქცეულია შ. არაგვისპირელის პაწია ამბავი „არ დამენახვო, არა!", დეპეშები, ჟურნალ-გაზეთებიდგან, ახალი ამბავი, პროვინციის ამბები და პრესსა. გაზეთი თავისს მეთაურს წერილში სწერს, რომ აზრად წინ წამძღვარებული გვაქვსო

„ხელი შევუწყოთ ევროპიულ მოწინავე იდეებისა და საუკეთესო მისწრაფებათა გაცნობა შეთვისებას და გავრცელებას; თვალ-ყური ვადევნოთ ჩვენი ცხოვრების განვითარებას ახალი კანონის გავლენის ქვეშ და ავხსნათ ყოველი მოვლენა იმ მხრით, თუ რამდენად ეთანხმება იგი საერთო პროგრესიულ გზას ან რამდენად ეწინააღმდეგება მას"!

„საერთო" პროგრესიული ევოლიუცია, რომლის შესახებ აქ ვლაპარაკობთ ჩვენ, სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ეტნოგრაფიულ თვითარსებობას. ამ მხრით ჩვენმა ერმა სრულიად ახალი ცხოვრება დაიწყო ასი წლის წინად. მაშინ მოისპო მისი პოლიტიკური თავისუფლება და დადგა ახალი პირობები მის ეროვნულ განვითარებისათვის. მაგრამ ეს სრულიადაც არ ჰნიშნავს ჩვენის ეროვნულ, ეტნოგრაფიულ არსებობის აღმოფხვრასა და გადაგვარებას. ჩვენი ენა, ჩვენი ლიტერატურა, ეროვნული თვისებები და არსება რჩებიან და ვითარდებიან. ამ მხარეს — ეროვნულ თვითცნობიერების გაღვიძებისა და ზრდის საქმეს, — შესანიშნავი სამსახური გაუწიეს ჩვენმა მოღვაწეებმა და ლიტერატურამ მესამოცე და მესამოცდაათე წლებში. ჩვენ გვწამს მათი ამაგი, გვწამს სიდიადე მათის იდეალისა და ამიტომაც მოვალენი ვართ განვაგრძოთ მათი შრომა ერის თვიცნობიერების განვითარებისათვის.

სიამოვნებით ვეგებებით რა ახალს თანამოძმეს, ვუსურვებთ, რომ შესძლებოდეს წინ დასახულ პროგრამის სავსებით განხორციელება... ერთის ახალის გაზეთის კიდევ დაბადება, რასაკვირველია, საერთოდ ქართულ ჟურნალ-გაზეთობის შრომას უფრო გააძლიერებს და გაანაყოფიერებს, თუ ეს ჟურნალ-გაზეთობა საერთო, თავისის ერის საკეთილდღეო სურვილით არის გამსჭვალული და გატაცებული.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც იწერებიან, იმპერიალისტთა გაზეთები ძლიერ გულ-გატეხილები თურმე არიან ამ ჟამად, თუმცა სცდილობენ დაფარონ როგორმე ეს. არც ერთს სამინისტროს მომხრე გაზეთში ვერ ჰნახავთ ამ ჟამად იმის ცნობას, თუ რა გზას უნდა დაადგნენ ინგლისელები. წინად-კი იგივე გაზეთები ხმა მაღლად ჰქადაგებდნენ, რომ ბურების წინააღმდეგ უოველგვარი სასტიკი ღონისძიებანი მიეღოთ. ეს იყო მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ლორდმა რობერტსმაც ისე ადვილად უარ ჰყო განათლებულს ერებში მიღებული წესი ბრძოლისა და ბურების ფერმები მთლად ამობუგა, ქალაქები გაანადგურა, დედაკაცები და ბავშვები სახლიდგან გარედ გამორეკა და ორივე რესპუბლიკა თითქმის მთლად მოაოხრა... „ტყვე ბურები უნდა დავხვრიტოთო", გაიძახიან კიდევ ზოგიერთი გაზეთები, მაგრამ მაშინ ხომ ბურებიც ასევე მოექცევიან ინგლისელს ტყვეებს. ამ რიგად გამწვავებამ საქმე იქამდის მიიყვანა, რომ უკიდურეს იმპერიალისტთა გაზეთებიც-კი, როგორც, მაგალითად, „Spectator", „Saturday Review", „Morning Post" და „Daily News" ი გამოტეხილად აღიარებენ, რომ ამ განადგურების პოლიტიკის წინააღმდეგნი არიან. და ადვილი გასაგებიც არის, თუ რად არიან წინააღმდეგნი. მართალია, შესაძლებელია, რომ ორთავე რესპუბლიკის ადგილ მამული სავსებით მოაოხრონ და ამ რიგად ბურებს არსებობისათვის ყოველგვარი საშუალება მოუსპონ, თუმცა ამას მთელი თვეები და წლები დასჭირდება, რადგანაც ჩრდილო ტრანსვაალი ჯერ ისევ თითქმის მთლად ბურების ხელშია, მაგრამ ის-კი ძნელი დასაჯერებელია, რომ ამით ომი დასრულდეს. „როდესაც ბურებს ყველა საშუალებას მოუსპობენ არსებობისათვის, მაშინ იგინი იძულებულნი იქნებიან კაპის ახალშენში გადავიდნენო, — სწერს „Morning Leader"-ის კაპშტადტელი კორესპონდენტი; ახლაც-კი ისე აღელვებულია მთელი კაპის ახალშენი, რომ საკმარისია რამე მიზეზი მიეცეთ და მაშინვე ცეცხლივით აპრიალდებიან და რევოლიუციას მოახდენენო. თუ რომ დევეტმა მოახერხა როგორმე და მდინარე ორანჟეს სამხრეთ ნაპირზედ გადავიდა 1,000 კაცით, ჩვენ მაშინ კაპის ახალშენში სრულიად ახალის ომის დაწყება მოგვიხდებაო. კაპის ბურებს ომის დაწყებისას სრულიად ზომიერად ეჭირათ თავი, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ინგლისმა ტრანსვაალის ორთავ თეთრ კანიან მცხოვრებთა პოლიტიკურ უფლებების გასათანასწორებლად დაიწყო ომი, მაგრამ დღეს-კი იმ ბურებზედ მეტად არიან გამწვავებულნი და აღელვებულნი, რომლებიც უკვე 8 თვეა საპყრობილეში სხედან ამბოხებაში მონაწილეობის მიღებისა გამო. ბოლოს დროის ხშირმა განკარგულებამ ფერმების დაწვისა და დედაკაც-ბავშვების სახლიდგან გარეკვის შესახებ კაპის ბურები უზომოდ გაამწვავა, იქამდის უზომოდ, რომ ამას ვერც ასი და ორასი დამარცხება იზამდაო".

„ბურების სარდლებს აზრადა აქვთ კაპის ახალშენში გადავიდნენო, — სწერს „Standard"-ის კორესპონდენტი პრეტორიიდგან. ესენი დარწმუნებულნი არიან, რომ კაპის ახალშენში მცხოვრებ ბურთა შორის მრავალი უკვე მზად არის აჯანყებისად და მხოლოდ მოთავეს ელიან, რომ ბრძოლა დაიწყონო. მანამდის-კი კაპის ბურები თავისს თანამემამულე ინგლისელებს ვაჭრობასა და მრეწველობაში უწევენ მეტოქეობას და ამის არის მთლად ცარიელზედ დასხან იგინიო. გაზ. „Manchester Guardion" ცნობებით, კაპის ახალშენის და ნატალის ბურები ძალიან ერთგულად ებრძვიან ინგლისელ ვაჭრებს. ეს მოძრაობა რამდენისამე თვის წინად დაიწყო. გუბერნატორი მილნერი წინასწარმეტყველობდა, რომ ეს ბრძოლა არ გამწვავდებაო, მაგრამ ჩვეულებისამებრ ანგარიშში მოტყუვდა. „ბიოკოტი", ე. ი. სასიკვდილ-სასიცოცხლო ბრძოლა ვაჭრობაში მთელს კაპის ახალშენშია გავრცელებული, გარდა იმ ზღვის პირის ქალაქებისა, სადაც ინგლისელნი და უცხოელნი სცხოვრობენ. ამგვარის დევნისა და შევიწროებისაგან მხოლოდ ის ინგლისელი ვაჭრები არიან თავისუფალნი, რომლებიც ბურებს თანაუგრძნობენ. ერთი ზღვის პირის ქალაქის ინგლისელი ვაჭარი სულ რამდენისამე კვირის განმავლობაში დიდის ქონების პატრონი შეიქმნა იმის გამო, რომ თანამემამულეებმა დევნა დაუწყეს, ბურებს რად თანაუგრძნობო და იძულებული შეიქმნა ზღვის პირის ქალაქი მიეტოვებინა და შიდა ქალაქში გადასახლებულიყო, სადაც ბურები სცხოვრობდნენ. ინგლისელთა ფერმებს აოხრებენ; დუქნებს ჰკეტენ; უკმაყოფილოთა რიცხვი სამხრეთ-აფრიკაში თან-და-თან მატულობს. ზღვის პირის ქალაქ პორტ-ელიზაბედის მცხოვრებლებმა პირდაპირ შეუქარა გამოუცხადეს მილნერს, რომ თუ ომს დროზედ არ მოსპობთ, ოპპოზიციის დასს შეუერთდებითო. უიტლენდერების, ე. ი. ინგლისელთა და უცხოელთა, უკმაყოფილება ხომ უფრო გამწვავებულია. ამათ რიცხვს ეკუთვნიან ყველა ისინი, რომელთაც სასტუმროები, რესტორანები და სხვა-და-სხვა თავშესაფრობები ჰქონდათ იჯარით აღებული, აგრეთვე წვრილი და საშუალო ვაჭრები, ხელოსანნი და მუშანი, რომლებიც ომის დაწყებამდე იოჰანესბურგში ბატონ-კაცებად სცხოვრობნენ და ახლა-კი ძონძებში არიან გამოხვეულნი და ქუჩებს სტკეპნიან. სამაგიეროდ დიდი ფულის პატრონები, როგორც, მაგ., როდსი და სხ. ჯიბეს ისქელებენ, ქონებას იორკეცებენ. საბრალო უიტლენდერები ახლა აღარა ჰმალავენ და პირდაპირ ამბობენ, რომ მაგნატებმა (დიდი ფულის პატრონებმა) იგინი მოატყუეს, რომ ომი მათი გამოწვეულია, რომ ლორდმა რობერტსმა მთელი ტრანსვაალი როდსის ნათესავებს ჩაუგდო ხელში და სხ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ერთი ჟურნალი საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს იმ ქალთა რაოდენობის შესახებ, რომელნიც გერმანიისა, ავსტრიისა და შვეიცარიის უნივერსიტეტებში სწავლობენ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, გერმანიის უნივერსიტეტებში წარსულ ზამთრის სემესტრში 664 ქალი დადიოდა, ზაფხულის სემესტრში—618 ქალი. ამ ჟამად გერმანიის თითქმის ყველა უნივერსიტეტში ქალები. უფრო მეტი ქალი სწავლობს შვეიცარიის უნივერსიტეტში. იქ სულ 624 ქალი ითვლება. ამათ გარდა შვეიცარიის უნივერსიტეტებში სამი პროფესორი ქალია: ბერნში—ქ-ხი ტუმარკინისა, ჟენევაში—ქ-ნნი როდრიგი და ცებროვსკისა. ავსტრიის უნივერსიტეტებში ნაკლებად არიან სტუდენტი ქალები. ვენაში სულ 30-ია, კლაუზენბერგსა და ლემბერგში—ოთხ-ოთხი, კრაკოვში—ერთი. ამათ გარდა თავისუფალი ყურის-მგდებელნიც არიან.

* * *

უცნაური გამოცდა სცოდნიათ აფრიკელ ზანგებს იმ კაცებისა, რომელნიც ცოლის შერთვას განიზრახავენ. როდესაც ვინმე ცოლის შერთვას დააპირებს, იკრიბება სათათბიროდ და გამოსაცდელად სახალხო საბჭო: მოხუცნი და „ცნობილი მოქალაქენი". კანდიდატი მოედანზედ გაჰყავთ. გააქვთ მოედანზედვე ცოცხალი ჭიანჭველებით სავსე ტომარა. აი ამ ტომარაში აყოფინებენ ბაწრით შეკრულ ხელებს

---

„არასოდეს ჩემს სიცოცხლეში, სწერს ახალი ზელანდიელი თავისუფალი მეომარი, აღარ გავიმეორებ შეცდომას და ინგლისის დროშის ქვეშ აღარსად წავალ საბრძოლველად უშემწეო დედაკაცებისა და ბავშვების, კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგაო". უფრო მეტის ზიზღითა და სიძულვილით ლაპარაკობენ თავიანთ წერილებში სხვა ჯარის-კაცნი. მაგრამ ეს წერილები უმნიშვნელო, უცნობ კაცებისაა, უმნიშვნელოვე ნათესავებსა და ნაცნობებთან მიწერილი. ეხლა კიჩინერის ბრძანებით ჯარის-კაცებს ასეთის წერილების წერაც აეკრძალათ. სასტიკი ბრძანებაა გაცემული, ჯარის კაცებმა უეჭველად ღია წერილები ჰგზავნონ ნათესავებთან, ხოლო კორესპონდენტებს გამოუცხადეს, გავიდნენ ტრანსვაალიდგან. მეტად ცუდის მომასწავებელია ეს ამბები: სუდანშიაც დაჭრილთა ამოჟლეტამდე და სხვა სისაძაგლის ჩადენამდე კიჩინერმა უპირველეს ყოვლისა კორესპონდენტები დაითხოვა. აშკარაა, რაღაც დიდ ბოროტ-მოქმედების ჩადენას აპირობს... აქამდისაც ჩაიდენდა, ინგლისის პატიოსან კაცებს ხმა-მაღლა უკმაყოფილება რომ არ განეცხადებინათ, ზოგიერთი გავლენიანი საპოლიტიკო მოღვაწე რომ არ ჩარეულიყო საქმეში და, რაც უმთავრესია, დიდად დამაფიქრებელი ამბები რომ არ მოდიოდეს კაპის ახალშენიდგან, სადაც მცხოვრებნი (უმრავლესობას იქაც ბურები შეადგენენ) აქამდე ნეიტრალიტეტს იცავდნენ, ეხლა-კი საჯაროდ უკმაყოფილებას აცხადებენ დედაკაცებისა და ბავშვების ამოწყვეტისა და მათ სარჩო-საბადებლის განადგურების გამო. ჯერ ისევ ომის დაწყებისასვე კაპის ახალშენელთ თავიანთი უკმაყოფილება გამოუცხადეს მილნერისა, ჩემბერლენისა და როდსის პოლიტიკას, თუმცა ამ დროს დედოფლის ღალატი ჯერ არ განეზრახათ. მაგრამ რაც დრო და ხანი გადიოდა, რაც ინგლისის გენერლები, რომელნიც გლეხ ჯა გენერლებზედ ბევრად უნიჭონი გამოდგნენ, მეტ სისასტიკეს იჩენდნენ, უკმაყოფილება ახალშენელთა შორის თან და თან იზრდებოდა (ახალშენელთ ყოველგვარი ვაჭრობა მოსპეს ინგლისელებთან, რამაც მრავალი ქარხნის პატრონი გააკოტრა და გაალარიბა) და ბოლოს კონგრესიც-კი იქმნა მოწვეული პროტესტის გამოსაცხადებლად და დედოფლისათვის თხოვნის მისართმევად ომისა და ბარბაროსობის მოსპობის შესახებ.

„საქმის ვითარება კაპის ახალშენში მეტად სერიოზულია, გვაუწყებს დღევანდელი ოფიციალური დეპეშა, საჭიროა დაუყოვნებლივ სასტიკი ზომები იქმნას მიღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში განსაცდელი აუცილებელია" (განსაცდელი, რასაკვირველია, ინგლისის ბატონობას მოელის). ესა და ამაზედ ადრე მიღებული სხვა დეპეშები ცოტად მაინც შელაგმავენ სისხლის-მსმელ გენერალთა თავგასულობას, იმ გენერალთა, რომელნიც აქამდე ჯაშუშის როლს უფრო ასრულებდნენ, ვიდრე მეომრისას. *) სალისბიურის სამინისტროს დიდი ფიქრი და ზრუნვა ჰმართებს. სამინისტრომ უნდა აჰლაგმოს თავისს გმირების უზომო თავ-გასულობა და ბოლო მოუღოს დედა-კაცთა და ბავშვთა ჟლეტა-ხოცვას. ყოველს შემთხვევაში სამინისტრო ვერ მოიყრუებს ყურს და, თუ სხვას არა, კაპის ახალშენიდგან მოსულ ამბებს და თვით ინგლისელთა უკმაყოფილებას მაინც უნდა მიაქციოს ყურადღება.

სხვებს რომ მოუხერხოს რამე, ვერ ჩააჩუმებს და ხმას ვერ ჩააკმენდინებს ჯონ მორლეის, ამ ყველაზედ კეთილ-შობილ კაცს ინგლისში, განთქმულს მეცნიერს და ყველას მიერ ცნობილს სახელმწიფო მოღვაწეს. იმის პროტესტმა ძალ-მომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომელსაც მორლეიმ სამხრეთ-აფრიკის ომის ერთი მსხვერპლის ქ ნ კონჟის ნამბობიც ჩაურთო, ისეთი უკმაყოფილება გამოიწვია მთელს ინლისში, რომ სამინისტროს პრესსა აი ეს ერთი კვირაა იძახის, გამოქვეყნებული ამბები გაზვიადებულიაო. სინიდისმა თვით ლიბერალ-იმპერიალისტებიც შეაწუხა, ის ლიბერალ-იმპერიალისტები, რომელნიც როდსისა და ჩემბერლენის ძალ-მომრეობის პოლიტიკას უჭერენ მხარს. ისეთი გაზეთებიც-კი, როგორიც „Daily News"-ი და „Daily Chronicle"-ა, იძულებული გახდნენ, საყვედურის კილოთი გაებან ლაპარაკი; ხოლო ლიბერალ იმპერიალისტთა ერთმა მეთაურმა მინისტრად ყოფილმა ტრეველიანმა განიზრახა მიჰბაძოს მორლეის მაგალითს.

მაგრამ შესძლებენ თუ არა თავგასულთა დროზედ ალაგმვას? ვაი თუ კიჩინერი ისეთსავე სისხლის ნადიმს ამხადებს სამხრეთ აფრიკაში, როგორიითაც სუდანი მორწყო... მაშინ სირცხვილს ვერავინ ვერ მოჰრეცხს ინგლისს და ამ ოდესღაც კეთილშობილ სახელმწიფოს უზომოდ დაღვრილი უმანკოთა სისხლი ისევე დაუწყებს დევნას, როგორც ლედი მაკბეტს.

მ. მარველი

*) ნამდვილად კეთილშობილ გენერლების ლორდ რობერტსისა და ბულლერის გარდა, ყველაზედ მეტად ამ ომში სახელი გაითქვეს გენერლებმა ბადენ-პოუელმა და მაკდონალდმა. პირველი განთქმულია როგორც შეუდარებელი მზვერავი და დაბალის ღირსების იუმორისტი. რაც შეეხება მეორეს, რომელმაც ჯარის-კაცობიდგან დაიწყო სამსახური, საკმაოა გავაგებინოთ მკითხველს, რომ იგი ბრმა იარაღია კიჩინერის ხელში. სასტიკი, შეუბრალებელი მაკდონალდი მოკლებულია ყოველსავე წარმოდგენას ზნეობის შესახებ. დამოუკიდებელი გაზეთები ჯერ ისევ წარსულ ზამთარს ზიზღით გადმოგვცემდნენ მაკდონალდის ნალაპარაკევს: „მე მზვერავებს არა ვსაჭიროობ, უთქვამს გენერალს. საკმაოა ჩემთვის ხილით სავსე კალათა; შემოვისხამ გარეშემო ბურების ბავშვებს, კალათიდგან ხილს დავურიგებ და ყველაფერს, რაც-კი ოჯახში ხდება, ვათქმევინებ. ასე შევიტყობ საიდუმლოებასაო." კითხულობ ამას და შენდა უნებურად გაგონდება სიტყვები: „ვაჲ მას, რომელმან აცთუნოს ერთი მცირეთა ამათგანი, ჩემდა მომართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა, დამოეკიდოს წისქვილი ვირით საფქვილი ქედსა, და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა".

კანდიდატს. იმას, ვინც დადებულ ვადას მოითმენს და ხელებს არ ამოიღებს ტომრიდგან, ცოლის შერთვის ნება ეძლევა. ასეთ მომთმენ კაცს, საბჭოს აზრით, შეუძლიან იმ ტანჯვა-წვალებისა და უბედურების ატანა, რაც ცოლის შერთვას მოსდევს ხოლმე.

## ტილოზე მხატვრობა საქართველოში.

ძველად ტილოზედ მხატვრობა ჩვენში სასულიეროც იყო და საერეროც. ამას მოითხოვდა თვით ბუნებრივი გრძნობა, რომელიც ავალებდა მაშინდელ ქართველს ჰქონოდა ხატები თავის თაყვანის საცემელ საერო წმიდათა და სურათები თავის საყვარელ საერო მოღვაწეთა მათ და პატივის საცემლად და მარად ჟამ მოსაგონებლად. სწორედ ამ მხრივ არის მესახიშნავი და შესწავლის ღირსი ჩვენი ძველებური ტილოზედ მხატვრობა, მაგრამ სამწუხარო-კია, რომ ამ მხატვრობის ნაშთი ჩვენ ხელთ ამ ჟამად ცოტაა. „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეუმში დაცულია ორი ტილოზედ ნახატი. პირველია სურათი თამარ მეფისა და მეორე ხატი წმ. მოწამეთა ქეთევან და მუშანიკ დედოფლებისა.

სურათი ასეთია: თამარ მეფე ქართულად თავ-დახურულ-ჩაცმული და პირ-ვერ-მოსილი სდგას, მარჯვენა ხელთ ურაგნილი უპყრია, ხოლო მარცხენა გაუშვერია დაპყრობილ ქვეყნების დროშებისა და იარაღებისკენ, რომელთა შორის უმაღლესობს სპარსეთის თეთრი დროშა და ზედ ლომი, მათ უკელას თავს-კი დაჰფრიალებს საქართველოს საერო დროშა და ზედ ღვთის მშობელი, რომელიც ღვთაებრივ ურმას აწვდის სფეროს. დაბლა, იმ ჭურჭლის ძირად, რამაც დროშები და იარაღები აწყვია, ჰხატია ორი ტიპიური თათარი, რომელიც ტომრებ წამოკიდებული მიდის თამართან ხარჯის მისართმევად. ხატი ასეთია: ქეთევან დედოფალი ქართულადვე თავდახურული და ჩაცმული, მხოლოდ სარტყელი, გულის პირი და მორთვირი წითელი აქვს და ამით განირჩევა თამარ მეფისაგან, რომელიც უფრო თალხად არის მოსილი. მარჯვენა ხელით ქეთევანს რტო უპყრია, ხოლო მარცხენას აძლევს შუშანიკს, რომელიც გვერდით უდგია და უმკერს მარცხენავე ხელს, რომლითაც ჯვარი უპყრავს, მარჯვენა ხელი-კი, რტოისავე მპყრობელი გულს დაუდვია და ქეთევანისკენ მიუდრეკია თავი, რომელსაც უმკობს თეთრი საბურველი სახისა და გულ-მკერდის დასაფარავად. მათკენ მარჯვენა ხელი გაუწვდია, თითქო ხელი ხელ მისაცემად, წმ. დავით გარეჯელსა, რომლის უკანაც, თითქო მათ მფარველად და მტერთ შესამუსრავად, ჰხატია წმ. გიორგი, მარცხენა ხელით შუბის მპყრობელი. მათ უკელას ზემოდ ღრუბელთა შორის სჯდება უფალი იესო, მარჯვენა ხელით მაკურთხეველი, ხოლო მარცხენით სფეროსა და ჯვართხის მპყრობელი.

ასეთი არის ეს ორი ღირს-შესანიშნავი ნახატი და სასურველია მათი გავრცელება — სურათისა სახლების სამკაულად, ხოლო ხატისა — ეკკლესიებში დასასვენებლად.

პეტრე მირიანაშვილი

## ძველი საეკკლესიო ნივთები ჩვენში.

ჩვენს ეკკლესიებს რომ ბევრი ძველი ნივთები ჰქონდა, ეს ყველამ კარგად ვიცით. ამბობენ, ერთს ეკკლესიაში ოქროს ალსავლის კარებიც კი იყოო, მაგრამ, ჟამთა ვითარებისა გამო, ეკკლესიებში ძველი ნივთები ბევრი აღარ მოიპოვება, თუმცა არც სრულებით გამოლეულა, ზოგიერთები მაინც. მაგრამ ჩვენის შეუგნებლობისა გამო შენახული ნივთებიც ბევჯერ უცნობი რჩება ხოლმე საზოგადოების და ისტორიისათვის.

ეს სიტყვები ამ წლის „ივერიის“ № 251-ის ფელეტონმა მათქმევინა დავით კურატპალატის ჯვარის შესახებ. ეს ჯვარი, როგორც ვიცი, ინახებოდა ეკკლესიაში, რომელსაც სამშაურიანი კლიტე ადევს და სულ ადვილად შეიძლებოდა დაკარგულიყო, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს, საუბედუროდ, ეკკლესიებს ხშირად ჰქურდავენ და სულ უბრალო ნივთებიც-კი მიაქვთ ხოლმე, არამც თუ იმისთანა თვალ-წარმტაცი ჯვარი, როგორიც დავით კურატპალატის ჯვარია.. ეკკლესიის ყარაულებს-კი არხეინადა სძინავთ ხოლმე თბილ კერასთან...

თითოეულის ჩვენგანის წმინდა მოვალეობაა ვცდილობდეთ ძველი ისტორიული ნივთები დაკარგვისა და დალპობისაგან უზრუნველ ვყოთ. მადლობა ღმერთს, გვაქვს მუზეუმი იმათ შესანახად. რა საჭიროა ძალდატანება? ვიქონიოთ მეასედი იმ სიყვარულისა ჩვენის წარსულისადმი (უფრო-კი მომავლისა), როგორი სიყვარულიც ზემოდ მოხსენებულ ფელეტონის დამწერში გამოსჭვივის, და მაშინ ეკკლესიებში უადგილო-ადგილს დაყრილს ძველ ხელთნაწერებს თაგვები ველარ შესჭამენ და ველარც კერძო ვინმე დაეპატრონება საზოგადო განძს.

ბლ. მღ. ქ—ე ც—შვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 ნოემბერი

**ვაშინგტონი.** აქ მოსულ უწყებიდგან სჩანს, რომ დიდთა სახელმწიფოთა მოლაპარაკება იმ ერთობილის ნოტის შესახებ, რომელიც ჩინეთს უნდა წარედგინოს, კმასაყოფილად დაბოლოვებულა; ყველა მთავრობა შეთანხმდა ერთმანეთთან ნოტის შინაარსის შესახებ. როგორც ამბობენ, პირობანი, რომელიც ჩინეთს უნდა დაუდონ, ის არის, რაც საერთოდ იმპერიის კანცლერმა 6 ნოემბერს წარუდგინა გერმანიის რეიხსტაგს, გამოკლებულია მხოლოდ სიტყვები: „უცვლელად მისაღები გარდაწყვეტილება“.

1 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორის ავადმყოფობის დროს შეუწყვეტლად მოდიოდა როგორც პირდაპირ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა, ისე საიმპერატორო კარისა და შინაგან საქმეთა მინისტრების სახელობაზედ იმპერიის სხვადასხვა წოდებათა და დაწესებულებათა და აგრეთვე კერძო კაცთაგან მრავალი განცხადება ჭეშმარიტ ქვეშევრდომულ სიყვარულისა და ერთგულებისა. ამის დამოუკიდებლად, ყველა სარწმუნოების მკვიდრნი ყოველგან საერთო ლოცვა-ვედრებას აღავლენდნენ, რათა ჩქარა განკურნებულიყო მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა. მოხსენდა რა ყოველივე ესე მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორმა ჰბრძანა გამოეცხადოს იმპერიის ყველა წოდებასა, დაწესებულებასა და საზოგადოებას მისი გულითადი მადლობა გამოთქმულ გრძნობათათვის.

**ვაშინგტონი.** პეკინიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ინგლისი თანახმაა ხელი მოაწეროს სამშვიდობიანო პირობებს მცირეოდენის ცვლილებით. ეს ინგლისის მიერ წინადადებულნი ცვლილებანი ესოდენ უმნიშვნელონი არიან, რომ არ ეწინააღმდეგებიან ძირეულ დადგენილებათ, რომლებითაც ჰხელმძღვანელობს შეერთებული შტატები. ამ შტატების აზრით, თვალ-საჩინო დაბრკოლება არა არის-რა, რომ ჩქარა შესდგეს მორიგება. კონჯერისაგან უკანასკნელად მოსული ცნობები ნათლად აღნიშნავს, რომ გერმანიის ელჩი მუმმი ჰმოქმედებს გერმანიის მიერ მიცემულ პირობისამებრ, — უარს ვიტყვი იმ მოთხოვნილებისაგან, რომ სიკვდილით იქმნენ დასჯილნი ამბოხების მეთაურნიო.

**ლონდონი.** დღეს გარდაეცა პარლამენტს საბუთის ქაღალდები, რომლებიც შეეხება გერმანიასა და ინგლისს შორის 1900 წლის 13 ოქტომბერს დადებულს მორიგებას. პირველს ორს დეპეშაში ელჩი გაცფელდი და ლორდი სალისბიური აცნობებენ ერთმანეთს, რომ ჩვენნი მთავრობანი თანახმანი არიან მორიგების პირობა დასდონო. დანარჩენს დეპეშებში პასუხებია რუსეთისა, ავსტრი-უნგრეთისა, იაპონიისა, საფრანგეთისა, იტალიისა და შეერთებულ შტატებისა ამ შესაკვრელ პირობის შესახებ. ყველანი თანხმობას აცხადებენ მორიგების ძირეულ დედააზრთა გამო; ავსტრიუნგრეთი და იტალია ფორმალურად უერთდებიან ამ მორიგებას, შეერთებულმა შტატებმა, როგორც ცნობილია, მოიწონეს პირველი ორი მუხლი ამ მორიგებისა და მესამის გამო თავისი აზრი არ გამოუთქვამთ. საფრანგეთმა მორიგების ამბავი იუწყარა თვისდა საცნაურ საყოფელად, კვლავ თავისის პოლიტიკის ძირეულ დედა აზრთ ეკერძება და ამასთანავე სწერს, რომ თუ ჩინეთის ხელ-შეუხებლობის დედა-აზრი დარღვეულ იქმნა, მაშინ საფრანგეთი გარემოების შესაფერისად დაიწყებს მოქმედებას, რათა დაიცვას თვისი ინტერესები და ხელშეკრულობანით მოპოვებული უფლებანიო. რუსეთი უერთდება საფრანგეთის პასუხს პირველ ორის მუხლის შესახებ, ხოლო მესამე მუხლის გამო სწერს, რომ ჩინეთის მიღიანობის რაოდენადმე დარღვევაც-კი იძულებულ ჰყოფს რუსეთს შესცვალოს თვისი აწინდელი დამოკიდებულებაო. იაპონია სწერს თავისს პასუხში, რომ არ დავაყოვნებ და ფორმალურად შემოვუერთდები მორიგებას, თუ მომრიგებელთაგან უზრუნველყოფილი ვიქნები, რომ თანაბარის უფლებანით ვისარგებლებ, თუ ვინიცობაა შემოვუერთდიო.

**პარიზი.** პალატა, ფარზეილი ეწინააღმდეგება პატიების წინადადებას, რადგან იგი ხელს უშლის დრეიფუსის საქმის გადასინჯვასაო (მემარჯვენენი უკმაყოფილებას აცხადებენ). პურკერიმ განაცხადა, რომ კარგი იქნება შევიწყნაროთ ეს წინადადება, რადგან შედეგად დამშვიდება მოჰყვებაო (მოწონების ხმა ისმის). სოციალისტი ბრეტონი ჰკიცხავს დიუპატი დეკლამსა და გენერალს გონზს და ამითი დიდად აღელვებს პალატის წევრთ. იგი ბრალსა სდებს გენერალს ბილიოსა და მელინს, თუმცა ისინი ამ ბრალს უარ-ჰყოფენ, — რომ იმათ ანრის შემწეობით სიყალბე ჩაიდინესო. მელინმა, გასცა რა პასუხი, განაცხადა, რომ ბილიო თავისს მოვალეობას ასრულებდა და სცდილობდა იმას მიღწეოდა, რომ კანონს პატივისცემით მოჰკიდებოდნენო (შუაგულ დასის წევრი უწონებენ ამ სიტყვებს), ბრისონმა სთქვა: როდესაც შევიტყე ანრის მიერ ჩადენილ სიყალბის ამბავი, გარდავწყვიტე, რომ დრეიფუსის საქმის გადასინჯვა ყოვლად საჭირო-მეთქი; ამ ერთს გარდაწყვეტილებას იგი თავისდა სასახელოდ ჰხადის (მემარცხენენი უწონებენ ამ სიტყვებს). ამის შემდეგ ბრეტონმა ბრალ-დება დაიწყო გენერალ მერსიესი (უმწვერვალესნი მემარცხენენი უწონებენ). მელინმა განაცხადა, რომ ის ბრალდება, ვითომ ბილიო ესტერგაზის იცავდა, მართალი არ არისო, მართალი არ არის აგრეთვე ისიც, რომ მე სიყალბე ჩამედინოსო. მილვუა იმ აზრისაა, რომ პატიების წინადადება არ უნდა იქმნას შეწყნარებულიო. ვალდეკ-რუსსომ განაცხადა: რაც შეეხება დრეიფუსის საქმეს, პალატამ ის სურვილი გამოსთქვა, რომ იგი ერთხელ და სამუდამოდ დაბოლოვდესო. მთავრობა ჰზრუნავდა მერმისისათვის რა ამიტომ წარმოგიდგინათ წინადადება პატიების შესახებ; რათა ამ თავითვე ხელი შეუშალოს მოსალოდნელს აურ-ზაურს (მოწონების ხმა ისმის). პირველი მუხლი, რომელშიაც გამოცხადებულია მოსპობა დრეფუსის საქმეებთან შეკავშირებულ ყველა საქმისა, ხმის უმრავლესობით შეწყნა; ის აზრი, რომ პატიებულ არ იქმნენ მოღალატენი და ჯაშუშნიო, მოწონებულია და ამ რიგად შესწორებულია წინადადება. მთავრობის წინადადების განხილვას ორშაბათს განაგრძობენ.

**შანჰაი.** ბრიტანიის აქაურ მთავარ-ელჩის აზრით, იანცზეს ნაწილის ვიცე-კოროლები თანდათან უფრო გავლენის მქონენი ჰხდებიან სასახლეში. ამათ თავიანთი ჯარები იმპერატორის დასაცველად გაჰგზავნეს და ამას კი ის მოჰყვება, რომ ისინი უფრო მოიპოვებენ გავლენას. საქმეთა ვითარების გაუმჯობესებას ისიც ამტკიცებს, რომ ტუნფუსთანი სინანფუში არ იმყოფება.

**შანჰაი.** ცნობაა მიღებული, რომ ქვრ ვი-იმპერატრიცა თანახმაა შემდეგს სამშვიდობიანო პირობებზედ. იმპერატორი ჩქარა უნდა დაბრუნდეს პეკინში, ჩინეთმა 40 მილიონი გირვანქა სტერლინგი უნდა გადაიხადოს, ყოველს უცხო-ქვეყნის მისიას, 2,000 კაცი მცველი დარაჯი უნდა ჰყავდეს და ჩინეთის იმპერიის თითოეულს პროვინციაში თითო უცხო ქვეყნელი მრჩეველი უნდა დაინიშნოს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ულრმესს მადლობას ვუცხადებ მამინაიშვილის ასულს ქ-ნს მატრონა გორდელაძისას, რომელმაც შემოქმედის მონასტრის ღარიბს სკოლას თუთხმეტ მანეთად ღირებული წიგნები და რვეულები შესწირა.

შემოქმედის მონასტრის სკოლის მასწავლებელი თომა საბაშვილი

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული, ზარველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

2 დეკემბერს:

სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფროსისა და მისი თანაშემწის კაზიპიროვისა და რომანოვისა, რომელთაც თანამდებობის აღსრულების დროს დანაშაულობის ჩადენ ბრალდებათ;

იოსებ ყანჩელისა, რომელსაც ილია ყანჩელის მოკვლა ბრალდება;

გიორგი ტატულაშვილისა, რომელსაც დაფარული მტაცებლობა ჰბრალდება.

5 დეკემბერს:

თომა რაზმაძისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება; ანასტასია წერეთლისა, რომელსაც გაზეთის შემწეობით ცილის წამება ჰბრალდება;

პეტრე გეჩუაშვილისა, რომელსაც ქურდობის ჩადენა ედება ბრალად;

ზაქარია თალათაძისა, იაკობ შილიგინაშვილის, ივანე მერაბაშვილისა და გიორგი მარგიშვილსა, რომელთაც საიდუმლოდ არაყის გამოხდა ედებათ ბრალად.

7 დეკემბერს:

ქოდალოს პოლიციის ბოქაულის ჯორჯაძისა, რომელსაც თანამდებობის აღსრულების-დროს დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება;

პოლიციის ბოქაულად ნამყოფ მეფისაშვილისა, რომელსაც თანამდებობის აღსრულების დროს დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება.

9 დეკემბერს:

იასე ღოღაძისა, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება; სამსონ ქოსაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება; ფილიმონ გველესიანის, რომელსაც სასჯელთა-დებულების მე-1656 მუხლში აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად;

სიდო ფირცხალავასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-940 მუხლში-აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენა-ედება ბრალად;

მელიტონ კუპრეიშვილისა, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება, კოწია ძაძამიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1453 მუხლში აღნიშნულ დანაშაულების ჩადენა ედება ბრალად;

სილოვან ეჯიბიასი, რომელსაც კაცის დაჭრა ჰბრალდება.


# განცხადებანი

## იყიდება

ახლად მოჭყობილი **საუცხოვო ბილიარდი** შარებითა და „კი“-ებით 120 მან. ელისაბედის ქუჩა, № 154.

ავაქიანცი (1—248—1)

## იყიდება

17 ნაჭერი მიწა 100 საჟ., მეტიცა და ნაკლებიც, 1 ნაწილში, მოსკოვისა და კირპიჩნი ქუჩის ზემოდ, საჟენი 4—6 მანეთად. მიწის მყიდველს შეუძლიან იქვე სახლის ასაშენებლად მიწითა, წყლითა და ქვით ისარგებლოს. ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 154.

ავაქიანცი.

(248—1—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го Декабря 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე